საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №277

18 აგვისტო 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 18 აგვისტოს 12:30 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კოხრეიძე, ლელა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. ქ. თბილისში ფეხბურთში გასამართ ევროპის საკვალიფიკაციო მატჩის გასაშუქებლად თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მოძრავი სატელევიზიო სადგურის ან ტექნიკური აღჭურვილობის დაქირავების მიზნით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ 2014 წლის 18 ივლისს #266 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლის - რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღებისთვის), - თანხიდან 70,000 ევროს ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გამოყენებაზე თანხმობის მიცემა.
2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის #268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადში ცვლილების შეტანა.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდა მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენე მიხაილოვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

პირველი საკითხი

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურმა დირექტორმა 2014 წლის 12 აგვისტოს სამეურვეო საბჭოს მომართა სასმსახურებრივი ბარათით. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული სამსახურევრივი ბარათის შინაარსი (სამსახურებრივი ბარათი ოქმს თან ერთვის).

გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ მოთხოვნილი საკითხი, კერძოდ: ქ. თბილისში ფეხბურთში გასამართ ევროპის საკვალიფიკაციო

მატჩის გასაშუქებლად თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მოძრავი სატელევიზიო სადგურის ან ტექნიკური აღჭურვილობის დაქირავების მიზნით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ 2014 წლის 18 ივლისს #266 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლის - რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღებისთვის), - თანხიდან 70,000 ევროს ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადწყვეტილება ცვლილება განხორციელდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებულ 2014 წლის 29 ივლისის #268 გადაწყვეტილებაში, რაც გულისხმოს შემდეგს: ცვლილება შევიდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის #268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადში და წინადადებების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 5 სექტემბრის 18.00 საათამდე, ხოლო წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე გამარჯვებულის გამოვლენა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ განხორციელდება 2014 წლის 13 სექტემბრამდე. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის #268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაცხადის სხვა დანარჩენი პირობა დარჩეს უცვლელი. გრიგოლ გოგელიამ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა, #268 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ ''საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ვებ-გვერდზე და შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნდეს გაზეთ ''24 საათში''.

სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 18 აგვისტოს საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		თამარ მეტრეველი